პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2025 წლის _____ იანვარი; ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, N16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/ კN05.36.24.934) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 09 აგვისტოს N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1

,,ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, №16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კN05.36.24.934) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 09 აგვისტოს N43 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 12/08/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016659) შევიდეს ცვლილება და განაშენიანების დეტალური გეგმა ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

,,ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, №16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კN05.36.24.934) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 09 აგვისტოს N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

,,ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, №16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კN05.36.24.934) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 09 აგვისტოს N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების მიღება.

წარმოდგენილი ცვლილებებით ხდება ,,ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, №16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კN05.36.24.934) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 09 აგვისტოს N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ; დადგენილების მიღების მიზანია დადგენილების დანართის განაშენიანების დეტალურ გეგმის ცვლილება, ცვლილება თავისი არსით წარმოადგენს არაარსებითი ხასიათის ცვლილებას.

2024 წლის 09 აგვისტოს მიღებული იქნა დადგენილება, რომლითაც შპს ,,გონიო 2020-''-ს განცხადების საფუძველზე დამტკიცდა განაშენიანების დეტალური გეგმა ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის I ჩიხი, №16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კN05.36.24.934). განაშენიანების დეტალური გეგმაში გამოტოვებულია დოკუმენტაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს განაშენიანების დეტალური გეგმა მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, არ მოხდა ამ დოკუმენტაციის და ინფორმაციის გამოქვეყნება, როგორც ნორმატიულ აქტზე არსებული დანართის, თუმცა ისინი წარმოდგენილი იყო ინიციატორის მიერ და დაცულია ადმინისტრაციული წარმოების მასალებში.

გამოქვეყნებული განაშენიანების დეტალური გეგმა მოიცავს მწირ ინფორმაციას, რაც არ აძლევს დაინტერესებულ პირს განაშენიანების დეტალური გეგმის სრულყოფილად გაცნობის შესაძლებლობას, ამ მიზნით მიზანშეწონილია ცვლილება შევიდეს განაშენიანების დეტალურ გეგმაში და დანართი ჩამოყალიბდეს დადგენილებაზე თანდართული ახალი რედაქციით.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**